ეროვნული ბიბლიოთეკა


# რუბიკონი

კვირეული ორგანო

**სრულიად საქართველოს ახალ მწერლების კავშირი**

მისამართი: ტფილისი, ხელოვნების სასახლე, სერგ ქ. № 13, ტელ. 17—51.

№ 15

კვირა, 23 სექტემბერი 1923 წ.

ფასი 500 ათასი მან

კონტორა—პუშკინის პასაჟი ტელ. №—08.


## სპეცების კურიოზი

საქვეყნოთ აღიარებული ფაქტია, საბჭოთა კონსტიტუციამ თითქმის ხელოვნების კულტი გამოაცხადა იმდენი იყვენ გარანტიები წინად.

ყველანი ელოდენ, რომ ხელოვნებაში ეს იყო ახალი ერას დაწყება.

მაგრამ „ნეპომ" გამოხრა ეს ილიუზიები... ეხლა დაიწყო დიქტატურა სპეცების. ბევრი ყოფილა საბჭოთა პრესაში მოყვანილი სპეცების „კურიოზების მაგალითები, ეს საკითხი ეხლაც მწვავეთ სდგას და ყოველ დღე იწვევს კამათს. ერთი ასეთი კურიოზი ჩვენშიც ხდება. გვგონია, რომ ჩვენ არავინ დაგვაბრალებს სპეცების წინააღმდეგ შეგნებულ ბრძოლის განზრახვას, მაგრამ საჭიროა ერთ გარემოებას მიექცეს ყურ ადღება.

ტფილისში არის კინო თეატრის რეჟისორი ი. ნ. პერესტიანი (მე მას პირადათ ვიცნობ და კარგის მეტი მაზე არ შემიძლია ვსთქვა რამე) მაგრამ მან თავისი კანონიერი უფლება სპეცის მოახერხა საკმაოდ დაეცვა. ის იღებს თვეში ჯამაგირს 850 მანეთს ჩერნოვეცით სახელმწიფო კინო ტრესტიდან (პროპორცია ჯამაგირის დაცულია სხვა სპეც თანამშრომლებისთვისაც). ვის უნდა ჰქონდეს ამის წინააღმდეგ რამე. პირიქით ჩვენ დაინტერესებული ვართ კინო წარმოება განვითარდეს საქართველოში. აგრედვე სახელმწიფო ოპერის თეატრში მოწვეულია ახალი ტენორი მოსინი, რომელიც ითხოვს და მიიღო კიდეც 400 საქონლის მანეთამდე.

ოპერასაც სჭირია გადახალისება და კარგი ტენორის მოსმენაც კარგია, იტალიიდან კიდევ მოელიან მომღერლებს იმავე ოპერისთვის 300 საქონლის მანეთზე ნაკლებს არავინ არ იღებს...

თუ ეს აუცილებელია—აუცილებლობის წინააღმდეგ ბრძოლა შეცდომაა. მაგრამ სად არის სამართალი, რომ ქართულ დრამაში კოტე მარჯანიშვილის გარდა (რომელიც იღებს 200 მანეთს) სამი რეჟისორი ა. ახმეტელი, მ. ქორელი და ა. ფალავა იღებენ 30-ათ საქონლის მანეთს, თითო არტისტი უმაღლეს კატეგორიაში ვინც მოხვდა იღებს 30 მანეთს, მხოლოდ ერთს ნინო ჩხეიძე განსაკუთრებულ დამსახურებისათვის იღებს 35 მანეთს.

გვგონია, რომ ასეთი დამდაბლება ხელფასის არ არის მარტო ქართველი არტისტების თავმოყვარეობის საკითხი... ეს ჩვენ ყველას გვეხება... განა იმიტომ, რომ ქართულ ხელოვნებას არ აქვს ერის სიმცირის გამო, დიდი რეზონანსი, განა ეს საკმაო იმისთვის, რომ საუკეთესო არტისტები შიმშილობდენ. გამოდის, რომ ერთი კინოს რეჟისორი ან და ერთი ტენორი უფრო მეტს იღებს, ვინემ მთელი ქართველი მსახიობები რეჟისორების მიმატებით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობა ანგარიშს გაუწევს ამ ანომალიას. დღეს მთელი საქართველო ლაპარაკობს ქართული დრამის აღორძინებაზე, ამაში მთავრობასაც მიუძღვის წილი. და ჩვენ არ გვგონია, რომ ჩვენი მსახიობები ასე დაჩაგრულები დარჩენ ბოლომდე. სახალხო განათლების მთავარ კომიტეტს ჰმართებს ამის შესახებ იქონიოს მჯელობა და მმართველ წრეებს აუხსნას საქმის გარემოება.

**ვარამ გაგელი,**

## კოტე მარჯანიშვილი

პეტროგრადში „პოლიარულ ვარსკვლავის" გამოცემაში გამოვიდა ცნობილი პოეტის მიხეილ კუზმინის კრიტიკულ პროზის წიგნი: „პირობითი ხელოვნება". მიხეილ კუზმინი, იმის გარდა' რომ დარჩენილ რუსს თანამედროვე პოეტებში ერთი საუკეთესო პოეტია, დიდებული მცოდნეა მუსიკის. მისი პიესები, რომელნიც კამერულ თეატრებში იდგმებოდენ „სულიწმინდის მოფენის დღე „ტოლედოში" „სიყვარულის კურანტები", „ვენეციანელი გიჟები", ყოველთვის მიდიოდნენ მისი საკუთარი მუსიკით, ის აგრეთვე დიდებული მცოდნეა თეატრის და აქვს თავის ფრანგული წარმოშობით მიკერძოება ლათინურ ნათელ აზრისკენ. ეს წიგნი მრავალ მხრივ არის საინტერესო, აქ მოცემულია უკანასკნელი დაწვლილებით თანამედროვე რუსულ პოეზიის ანალიზი. განსაკუთრებით საინტერესოა წერილი მიწერილი პეკინში ერთ ერთ ემიგრანტ ესტეტისადმი. ამ წერილში მ. კუზმინი უსწორდება ბევრ ცეტ და მეტიჩარა მწერლებს, განსაკუთრებით მარიეტა შაგინიანს (ამ ქალის შესახებ ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი). ყველა წერილებში, რომელიც მიძღვნილი არის თეატრისადმი მიხეილ კუზმინი იგონებს კოტე მარჯანიშვილს, მას თანამედროვე რუსულ რეჟისორებში კოტე მარჯანიშვილი მიაჩნია ერთად ერთ ოსტატათ.

მიხეილ კუზმინი აღნიშნავს, რომ კოტე მარჯანიშვილმა პირველად შემოიტანა რუსეთში კომიკური ოპერა მისი აზრით პირველი კომიკური ოპერა არის მოედანის ქალიშვილი და რევოლუციის თანამგზავრი მისი წარმოშობა დემოკრატიულია და თავის დროზე მას დიდი მხატვრული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ შემდეგ დრომ, დაუკარგა პირველყოფილი სიწმიდე კომიკურ ოპერას და აქცია ის, ჩვენი დროის კაფეშანტანის და ცნობილ ნაძირალების ოპერეტათ.

ანალიზი კომიკური ოპერის წარმოშობის მშვენივრად აქვს აწერილი ავტორს საზოგადოთ რუსეთის თეატრებში ეხლა დიდი გასავალი აქვს „მადამ ანგოს ქალიშვილს" (სამხატვრო თეატრის დადგმა) „ჟიროფლე ჟიროფლია" (კამერულ თეატრის დადგმა).

ფლორიმენდ ერვეს „მალაბრის ქვრივის" დადგმაზე გ. კუზმინი სწერს: „მალაბრის ქვრივი" მშვენიერი მასალაა, რეჟისორისთვის, რომ გამოაჩინოს თავისი გამოგონება და მონაწილეთათვის კიდევ თავის ნიჭი აჩვენონ. კ მარჯანიშვილმა ეს პიესა დადგა დიდი სიახლით და სხვანაირობით: სცენის გეპლანი, სამი მიზან სცენა სულთანის ცოლებისთვის, სცენა ინდიურ ქორწილის ცერემონიის, ყველაფერი ეს მშვენიერი იყო და ძალიან სცენიური, სამწუხაროთ უკანასკნელი სცენის დროს, რეჟისორს ან მოეწყინა ანდა დრო არ ჰქონდა მოფიქრების და უკანასკნელი აქტი ხელმიშვებილი მიდიოდა, ანდა ისე როგორც გაეწყობოდა. თუმცა ძალიან მარჯვე იყო სცენა ნაზობის".

მოცარტის კომიკურ ოპერის „სერალიდან გატაცების" დადგმაზე კუზმინი აღნიშნავს მთელ სიძნელეს რომელსაც იწვევს მისი დადგმა, აქ არის უდიდესი გამოხატვა ახალგაზრდობის სიყვარულის. მართალი ვსთქვა, როცა მივდიოდი მეოთხე წარმოდგენაზე, ასე მოკლე დროს განმავლობაში; იმავე დაუცხრომელი რეჟისორ-კ. მარჯანიშვილის დადგმით ერთ და იმავე პლანით და ერთდაიმავე ანსამბლით მე მეშინოდა, რომ არ ყოფილიყო. ეს განმეორება მარტო კარგ ტემაზე აღებულ ვარიაციების და ცოტათ გამოცვლილი გამეორება: „დონ პასკვალესი" ან და ქორწინების საიდუმლოსი" კოტე მარჯანიშვილის სასახელოთ უნდა ითქვას, რომ ეს ასე არ ყოფილა. გროტესკი დარბილებული იყო, ნაზი ლირიზმი, სიხარული ეთანხმებოდენ მოცარტის შეყვარებულ ხმებს".

კიდევ უფრო აღტაცებულია კუზმინი კოტე მარჯანიშვილის მიერ მოცარტის მეორე კომიკურ ოპერის cosi ta tute-ს დადგმით.

ჩვენ ვიცით, რომ როდესაც პირველად ჩამოვიდა ტფილისში მარჯანიშვილი, მას ჰქონდა ეს პიესები რეპერტუარში შეტანილი და აპირობდა დადგმას. რატომღაც ეს შორიშან არ მოხერხდა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ამ სეზონში კოტე მარჯანიშვილი მოევლინება ტფილისს, იმავე დამატყვევებელ ოსტატობით, რომლითაც ერთხელ აკვირებდა პეტროგრადს...

**არიელი.**

## „ნიანგის" მასხრებს

ჯერ კიდევ „ნიანგი" გამოსული არ იყო, რომ კომუნისტურ პარტიის პრესაში დაისვა საკითხი მისი ზედმეტობის შესახებ ერთი ჭკუა მახვილი მწერალი გაზეთ „მუშაში" სწერდა, რომ პარტიას არ აქვს ძალა სერიოზულ იუმორისტულ ჟურნილის გაძღოლისთვის, და აქ იუმორის და სატირის მაგიერ მხოლოდ თავის აგდებას ექნება ადგილიო. პროგნოზი მართალი გამოდგა. „ნიანგი უშნო გაგრძელებაა „ეშმაკის მათრახი"-ს, „ნიანგის" რედაქციამ ეს თავის გულუბრყვილობა საჯაროთაც გამოთქვა, რისთვისაც დატუქსეს კიდეც. რაც იყო „ეშმაკის მათრახში." ხანდისხან თავის გდება (ეს ჩვენ წინათ გვიმხელია) „ნიანგს" გაუხდია სისტემათ. და პირველი იერიშები ჩვენზე მოაქვს ჩვენ გვგონია, რომ ნიანგის პასუხისმგებელი რედაქტორი სილიბისტრო თოდრია არ უნდა ერეოდეს ასეთ წვრიმალებში, და თავის სახელით ნებას არ უნდა აძლევდეს გულდვარძლიან პატარა მასხრებს აშკარა დაბეზღების და „დანოსების" გაკეთებისას. მით უმეტესს, ეს მოუთმენელია, როცა ამას სისტემის ხასიათი აქვს.

„ნიანგის" მასხარა კითხულობს, რატომ არ წავიდა გრიგოლ რობაქიძე ევროპაში (თითქო ეს გრიგოლ რობაქიძის სურვილზე იყოს დამოკიდებული) და ვერც კი გრძნობს თავის უტაქტობას. „რუბიკონ"-ში დაიბეჭდა პაოლო იაშვილის, ვერჰარნის „მჭედლის" თარგმანი. ლექსის დედანი დაიკარგა, თვითონ პაოლო იაშვილი ამ დროს მანგლისში ივო და რედაქცია გრძნობდა, რომ თარგმანი იბეჭდებოდა შეცდომებით, რაც შენიშნა კიდეც. „ნიანგი" გამომდგარა და წრიპინებს პაოლო იაშვილმა მოიგონა დედანის დაკარგვაო, რატომ და იმიტომ, რომ სახელი გაუფუჭოს პაოლო იაშვილს სახელმწიფო გამომცემლობის წინაშე. არ ვიცი როგორ გაიგეს, რომ ტიციან ტაბიძემ მისტერია „ბუფფ" გადასცა განსახილველად სახელგამის კოლეგიას და იქვე დანოსი არიქა იაპონიაში მიწა ინძრაო... განა ეს არ არის „დანოსის" სისტემა უილაჯო ხალხი, რომელნიც თავიანთ უნიჭობით სახელს უფუჭებენ პროლეტარულ პოეზიას და გვგონია, რომ ამას მარტო ჩვენ არ ვამბობთ, აქ გამოდიან კრიტიკოსის როლში, რომელ ენაზე კითხულობენ ეს ვაჟბატონები ლექსებს: ქართული მათ არ იციან და რუსული. და თავის აგდებით ვინ შეინარჩუნა სახელი პოეზიაში? ჩვენ საკმაოდ ვიკავებთ თავს მათი დაფასებიდან, თორემ მათგან ბურტყლიც არ დარჩებოდა აქამდე.

„ნიანგის" მასხრები კიდევ შორს მიდიან და უზრდელად კითხულობენ, რატომ აქვს პენსია: პედაგოგს ივანე გომელაურს ანდა ბელეტრისტს ილია ზურაბიშვილსო? და თან უზრდელი ავლაბარული კილოთი. რაში ეკითხებათ მათ ეს გამოძიება"?

დაბეზღება, ხომ მწერლობაში ყოველთვის საძაგლობათ ითვლებოდა.

მაგრამ ვინ მოთხოვოს „ონისიმესთანა" გაიძვერას ამის შენახვას.

თუ „ნიანგი" პარტიული ორგანოა ჩვენ ვეკითხებით პარტიის პასუხისმგებელ ორგანოს რა საჭიროა ასეთ საკითხებზე მასხრობა.

თუ ამას რაიმე გადაწყვეტილების ხასიათი აქვს ეს უნდა ხდებოდეს დაცინვის გარეშე.

ყოველ შემთხვევაში აუხსნელია „ნიანგის" უცერემონიობა.

ჩვენი მწერლობა, ისე არ დამცირდება, რომ „ნიანგის" მასხრების გასათელი გახდეს...

**„რუბიკონის" რედაქცია.**

## სერგეი მესხი

(1844—1883)

21 მკათათვეს შესრულდა 40 წელიწადი ს. ს მესხის გადაცვალების შემდეგ.

ადამიანის ცხოვრებისათვის ეს ზონა იმოდენად დიდია, რომ სერგი მესხის ტოლთაგან თითქმის აღარავინ დარჩენილა.

ამით უნდა აიხსნას ის დუმილი, რომლითაც ჩაიარაამ დღემ.

ხოლო ერთიც მის ტოლ-ამხანაგთაგანი რო ცოცხალი ყოფილიყო, ბევრს რასმე საგულისხმიეროს გვიამბობდა სერგი მესხზე, მის თავგანწირულ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ჩვენც გაგვიზიარებდა ამ იშვიათი ადამიანის თავგადასავალს და განსვენებულის ხსოვნასაც ღირსეულ პატივს დასდებდა.

სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს ავიღოთ ხელთ კალამი და პატივისცემით მოვიხსენოთ იმ უანგარო მოღვაწის სახელი, რომელიც ესოდენ შეკავშირებულია ჩვენის საზოგადოებრივის ცხოვრების, ჩვენის ჟურნალ-გაზეთების წინმსვლელობის საქმესთან.

ვის არ გაეგონება ქართულ პირველ გაზეთ „დროების" ამბავი?

ხოლო ვისაც ეს ამბავი გაუგია, წარმოდგენილი იქნება სერგი მესხიც; მისი პირეველი სულის ჩამდგმელი, ხელმძღვანელი და მაზედ თანგადაყოლილი უმაღლეს სწავლის მიღების თანავე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ნეტარხსენებული სერგი ბრუნდება პეტროგრადიდან თბილისში არა თბილისისა და „შემოსავლიანი" ადგილის საძებრადა და პირადი კეთილდღეობისათვის საზრუნველად, არამედ მიაშურებს გიორგი წერეთლის კუნჭულისაკენ, სადაც გამალებული შრომა სწარმოებს, სადაც იწერება „დროების" მოწინავე წერილიც, დღიურიც, პოლიტიკის მიმოხილვაც.

იმ კუნჭულისაკენ, რომლის სახელიც არის რედაქცია. სერგი არ ექრძალვის სიცივეს, შიმშილს, წყურვილსა და თავგანწირულ შრომას. ამას რომ ექრძალვიდეს გიორგისთან რა ძალა აიყვანს, პირიქით, თვით მთელის თვისის არსებით მიაქანება სერგი მესხი ამ სახიფათო გზისაკენ და 1869 წელს იგი ათავისუფლებს გაორგი წერეთელს სხვა მრავალმხრივ მოღვაწეობისთვის და თვით ებმება რედაქტორობის მახეში. აქედან დაწყებული სიკვდილამდე სერგი ისე დაუკავშირდა ამ საქმეს, რომ, როგორც „დროების" წარმოდგენა აღარ შეიძლებოდა უმესხოთ, არც მესხის უდროებოთ. მხოლოდ ლექსები არ უწერია განსვენებულ სერგის, თორემ დანარჩენში არსად არ ჩამორჩენილა ისი მკვეთრი პუბლიცისტური კალამი, რომელმაც შეჰქმნა ჩვენში გაზეთიც, მკითხველიც, ბეჭვდითი სიტყვის ავტორიტეტიც და სერგი მესხის უკვდავებაც.

დღემდე ცოცხალია სერგი მესხის მეუღლე—დეიდა კეკე, როგორც მას სიყვარულით ეძახიან ბავშები იმ ლიტერატურის მოღვაწეობისათვის, რომლის სიყვარულიც მას გულში ჩაუთესა ღირსეულმა მეუღლემ და რომელსაც იგი ეწევა საბავშო ჟურნალებში.

საუკუნო იყოს სერგის ხსენება.

**ივანე ელიაშვილი.**

## გამბედაობის მარში

### ჯიოვანი პაპინის მანიფესტი

ჩვენ გვაკლია გამბედაობა. ჩვენ ნაკლებათ გაბედული ვართ. აუცილებლად საჭიროა. გამბედაობა. გამბედაობა. გამბედაობა და უსათუოდ გამბედაობა.

თუ გამბედაობა არ კმარა—გაშმაგება. თუ სიშმაგე ცოტაა—თავხედობა. თავხედობა თუ მცირეა—გადარევა. თუ არ კმარა გადარევა—სიკვდილი.

აუცილებელია გამბედაობა. საჭიროა აქიმობა გამბედაობით.

კარგი რამ არის ისტორია, კულტურა, ტალანტი (მშიშარისათვის) მაგრამ მიქარვაა ყველაფერი გამბედაობასთან.

ვინც ვერ გაბედავს—ვერასოდეს ვერ შექმნის მარადიულს.

ვინც ვერ გაბედავს—ვერასოდეს ვერ შექმნის ახალს.

გაუბედავი ვერასოდეს ვერ მონახავს საკუთარ სახეს.

ვინც ვერ გაბედავს—ვერასოდეს ვერ მოიშორებს წარსულს, ტრადიციებს და მაგალითებს.

ვინც მოკლებულია გამბედაობას—ის უსათუოდ ჩაეფლება იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ამერიკულ, რუსულ და უმეტესად იტალიურ ნეხვში, რომელიც ანელებს და ამძიმებს წინსვლას და ჰბადებს წინდახედულებას.

გენია—არის გამბედაობა.

წარჩინება არის გამბედაობა.

ორგინალობა არის გამბედაობა.

რღვევა არის გამბედაობა

უნდა გქონდეს გამბედაობა იქნე გაუგებარი. უნდა გქონდეს გამბედაობა გახდე სასაცილო და ყბათ აღებული. უნდა გქონდეს გამბედაობა არ მოერიდო გამქირდავ მტრობას და მშიშარა მეგობრობას. უნდა გქონდეს გამბედაობა იშოვო ცოტა ფული უნდა გქონდეს გამბედაობა მიაფურთხო, მიაშარდო, მიარწყიო და მიაოხრო ყველაფერს, რაც საყოველთაოდ პატივსაცემი და საყვარელია.

უნდა გქონდეს გამბედაობა იარო გაბახებული და ქვეყნის თვალში გახდა კოტორი, შექანებული და გაიძვერა. უნდა გაბედო შენი თავის წამება და შერცხვენა, რომ უარი უთხრა მრავალთა რწმენას და უმეტესობის აღტაცებას.

უნდა გქონდეს გამბედაობა იხტუნო ქალაქის მოედანზე და შუბლი მიაგებო ქართოფილებს, ჟურნალისტები რომ თავში მოგაყრიან.

ერთად ერთი ხსნა გამბედაობაშია.

გამბედაობაა ერთად ერთი წამალი და ერთად ერთი საშვალება გამბედაობაა.

სიამაყის პირველი ფუძე—გამბედაობაა.

გამბედაობაა ერთად ერთი დოკუმენტი დიდებისა უკანასკნელი ცეცხლოვანი წრთობა გამბედაობაშია.

სასურველია გამბედაობა. მარადის გამბედაობა. მეტი გამბედაობა. ყოველთვის, ყოველ დღე, ყოველ ჟამს, ყოველ წუთს სულ მეტმ და უმაღლესი გამბედაობა. არაფერი—გარდა გამბედაობისა.

გამბედაობა ჩვენთვის და გამბედაობა სხვისთვის გამბედაობა გუშინზე და გამბედაობა ხვალინდელისათვის. გამბედაობა ცხოვრებაში და გამბედაობა ხელოვნებაში. გამბედაობა დაცინვის და გამბედაობა ზრახვის წინაშე. გამბედაობა მძულვარებას წინაშე გამბედაობა სიყვარულში.

თვით ჩვენ გამბედაობას, რომ ვქადაგობთ, გამბედაობა რომ აღვიარეთ ხელოვნების ფუძეთ, აზროვნების ღერძათ და ვალდებულებათ ცხოვრებისა; თვით ჩვენ, რომელთაც სხვაზე მეტი, ყველაზე მეტი გამბედაობა გვაქვს და სხვისი სილაჩრე საკუთარ სირცხვილად მიგვაჩნია,—თვით ჩვენც კი ვინაც საბოლოოდ ამოვსძირეთ ყოველგვარი პატივისცემა. მხატვრული დაფასება, ვინაც მოვსპეთ კანონდებული ზრდილობა და ამდაგვარი საზოგადო, რელიგიური და სამოქალაქო წესები მოკრძალებისა,—თვით ჩვენც კი არავართ საკმარისად გაბედული.

ჩვენში ჯერ კიდევ ცოცხალია სირცხვილის ფესვი, პატივისცემა, ოდენი გონიერება და ნიშანი ლაჩრობისა. ჩვენ თვით ვერავართ ბოლომდე გაბედული. ჩვენ კიდევ არა გვაქვს მთელი სავალდებულო გაბედაობა.

ჩვენ არა ერთხელ შევანგრიეთ და ჩავქოლეთ წარსული, ბრბო და ლოღიკა—ეს ჩინური კედლები ევროპიული მანდარინიზმისა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ვერ დავარბიეთ უკანასკნელ ქვამდე.

ჩვენში კიდევაა ჩარჩენილი რაღაც გრძნობა წარსულიდან, ოდენი პატივისცემა წარსულისადმი, მცირედი სინანული შესახებ წარსულისა და რაღაც სევდა წარსულის გამო.

ჩვენში კიდევ ცოცხალია პატივისოემა იმ ხალხისადმი თეატრებში რომ დადიან და კითხულობენ გაზეთს. ჩვენ კიდევ გვაშინეეს პროფესორები, ჟურნალისტები, კრიტიკოსები. და ცოტაოდენი მორიდება სერიოზული ლი ხალხისადმი ჩვენში მაინცაა დარჩენილი.

ჩვენ საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ დავსძლიეთ ნათქვამი შესახებ გონიერების ვალდებულებისა. ვერ გავაქვრეთ შიში იმის გამო, რომ უჭკუო ბოდვა სხვისთვის გაუგებარი დარჩება. ჩვენ ვიცავთ წესებს და ჩვეულ გამოთქმას. ჩვენ საკმარისად ვერ ვაბითურებთ წარსულს, ვერ ვამასხარებთ ღირსეულად უმრავლესობას და ხშირად გვერიდება რიგიანი პანღური ამოვკრათ გონიერებას.

ის ამბავი, რომ ჩვენ ვსწერთ, უკვე არის ფაქტი რაღაც ლოღიკური თანმოყოლებისა. ჩვენ დღემდე ვადგივმრთ ჩვეულით განმტკიცებულ წესს დავიცავთ პერიოდების წყობას, ფრაზათა სქემას.

ჩვენს საუბარში კიდევ სცოცხლობს რაღაც მოციქულისებური კეთილ განწყობილება ქმმენელისადმი. მისი დაზოგვა, თავდაჭერა და პატიება.

არა, ძვირფასო მეგობრებო. ჩვენ გაუბედავი ვართ და ჯერ კიდევ გვაკლია გამბედაობა. თვით ჩვენ ჯერ კიდევ მშიშრები ვართ. ჩვენ ცალი ფეხით ისევ ნათქვამისა და ნაკეთების წრეში ვართ და გონიერების ნიშნები ჯერ კიდევ ჩამჯდარია ჩვენი ტვინის გრეხილებში.

ჩვინ გვაკლია გამბედაობა შეურაცხვყოთ მეტზე მეტად.

ჩვენ ვერ ვბედავთ ვიყვეთ უფრო უხეში.

ჩვენ გვაკლია გამბედაობა გავხდეთ უფრო გაუგებარი, ჩვენ გვეშინია ვიყვეთ უფრო ოხერი, უფრო უმეცარი, უფრო უზრდელი, უფრო საძაგელი და თაღლითი.

ჩვენ არა გვაქვს გამბედაობა გავხდეთ უფრო ღორული, უფრო ბარბაროსი, ველური, უფრო კომიკური და მასხარა.

ჩვენ ვერ ვბედავთ მეტად გადარევას, ჩვენ გვეშინია ვიყოთ უფრო შეშლილი, უფრო აწყვეტილი, უფრო ჭკუა დაწყვეტილი.

არის დღეები როცა ჩვენ ისეთივე მშიშარა ვართ, როგორც ჩვენ მიერ დასახვრეტი ხალხი.

ჩვენ ვიცით წუთები, როცა ხვეჭვება ჩვენი თავი გვეშინია მათსავით, ვინც გვძულს და ვინც გვეზარება.

და ჩვენ უსათუოდ გვჭირდება გამბედაობა. კიდევ გამბედაობა. მეტი გამბედაობა. მაღალი და აწეული გამბედაობა.

ჩვენ გავიმარჯვებთ მხოლოდ გამბედაობით.

ჩვენს პიროვნებვს დავამკვიდრებთ მხოლოდ გამბედაობის გზით. ჩვენ დავსძლევთ უდრეკელ ცრუმორწმუნოებას მხოლოდ გამბედაობის შემწეობით და ძველ ფორმებს—ფილოსოფიის, ლიტერატურის, მუსიკის ჩვენ მოვინელებთ მხოლოდ გამბედაობის ძალით.

მხოლოდ გამბედაობით გამოვსწურავთ ჩვენი სისხლიდან კულტურის ყველა შხამებს და გამოვდენით მონობის, მიმბაძველობის და სათნოები ცოდვას.

თუ გავბედეთ—ჩვენ მოვიშორებთ და საბოლოოდ გავასვენებთ ჩვენს მკვდრებს. ჩვენ დავფშვნით და გავთელავთ მტერს მხოლოდ მარტო გამბედაობით.

ახალ ატმოსფერამ, ახალ ხელოვნებას, ახალ ცხოვრებას ჩვენ შევქმნით მხოლოდ მაშინ, თუ ვიქნებით გაბედული, თუ გვექნება მეტი გამბედაობა.

თუ აღვიჭურვებით გამბედაობით,—ვერ დაგვცემს მომავალი და შიში განადეურებისა.

საჭიროა გამბედაობა. დიდი გამბედაობა, უზარმაზარი. უსაზღვრო გამბედაობა, გამბედობა მარადის. და მარადის იქითაც უმაღლესი გამბედობა.

**ნიკოლო მიწიშვილი.**

პარიზი.
აგვისტო 923 წ.

# ვარია მესხიშვილისა

ვარია ალექსი-მესხიშვილი უკვე საკმაო სახელით იყო დაჯილდოვებული საქართველოში. თუმცა მისი სახელი ჩამოუტანა მას აქ ქართველმა სტუდენტობამ ოქროს ტრირემით და თავისებური ახალგაზრდული რომანტიკით შერბილებული გადასცა საქართველოს.

კიევისა და მოსკოვის სტუდენტობა იყო ბედნიერი მოწამე დები მესხიშვილების სცენიურ ნიჭის გადაშლის და პირველი გატაცების. ამ სტუდენტობამ განიცადა ახალგაზრდა დების სასცენო დღესასწაული. რომელიც იყო უთუოდ ბრწყინვალე და მაღალი.

ლეგენდასავით დადიოდა აქ ხმები მესხიშვილების შესახებ და ამ ლეგენდაში იყო საპატიო სიყვარული და ტკბილი მოგონება.

ამიტომ იწვევდა ჩვენში ასეთ ინტრიგას მათი ხილვა.

შეიძლება ამ ინტრიგას ისიც აძლევდა იმპულსს, რომ დები არიან ლადო მესხიშვილის ქალიშვილები, იმ არტისტის, რომელმაც მისცა ქართულ თეატრს სახელი რომელიც მიუღწეველი დარჩა თავის შემოქმედებაში დღესაც.

შეიძლება შემცდარია დეტალებში პირველი შთაბეჭდილება, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო. დეტალები ეს საქმეა რეცენზეტების რომლებსაც ასე უყვართ არტისტის ნერვებზე თამაში და უსხეულო ფორმულების გამოყვანა გაზეთის ფურცლებზე.

ჩვენთვის ძვირფასია პირველი მთლიანი და უშუალო შთაბეჭდილება, რომელშიაც ყოველთვის მეტი ჭეშმარიტება და სითბოა ვიდრე გაყინულ ქირურგიაში.

სასიხარულოა რომ ამ შთაბეჭდილებამ კიდევ მეტი ენერგიით დატვირთა ლეგენდა, რომელიც ჩამოიტანა ჩვენში ქართველმა ახალგაზრდობამ. უკანასკნელის ინსტიქტი მართალი და შეუცდომელი აღმოჩდა.

მე არ მინდა ავღნიშნო აქ ვარია მესხიშვილის მიღწევა სხვა და სხვა როლების განსხეულებაში. საინტერესოა მეტად მისი საერთო სახე. არის ამ არტისტში რაღაც გადმოუცემი, მიმზიდველი—რომელიც ასე ხიბლავს მაყურებელს. ეს უთუოდ დიდი მამის საჩუქარია კიდევ უფრო ამაღლდა ლადოს აპოლონის სახე ჩემ თვალში. იმ ლადოს, რომელმაც დაუტოვა სცენას—ორი ქალიშვილი.

თითქოს სცენაზე გადმოღვრილი იყო ლადოს დაუდეგარი სული და დანათოდა როგორც მზე ღირსეულ მემკვიდრეს,—სისხლით და ხორცით.

პირველი რაც სწევს მაღლა ყურადღებას—ეს არის არტისტკას ტემპერამენტი. თითქოს ცეცხლს ანთებს სცენაზე და ამ შემთხვევაში ტერმომეტრს აღარ ყოფნის გრადიუსები აწეულ გრძნობის გადმოსაცემად.

აქ უთუოდ გადმოსულია ქალიშვილში მამის პირველი ბედნიერება მაგრამ არის მეორე ბედნიერება არტისტკის უფრო განათებული, მეორე თვისება, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე.

მე ახლაც მესმის მისი ხმა, ახლაც ვხედავ გაბნეულ მის სიცილს.

არა მგონია ვინმემ დაივიწყოს ეს სიცილი, თუ კი ერთხელ გაიგონა: იმდენათ ცოცხალი და გულწრფელია იგი.

საერთოდ რაც არჩევს ვარია მესხიშვილს ეს არის მისი უძირო გულწრფელობა, მისი უშუალო მისვლა სცენასთან. გულწრფელობა, რომელიც ასე აკლია თანამედროვე არტისტს, გულწრფელობა, რომელიც დაივიწყა თეატრმა და მის მაზივრად გააბატონა ყალბი პათოსი, მომამზრებელი, გულისამრევი.

ყველაფერი იმის მთქმელია, რომ ვარია სეხიშვილი ბუნებით არის მოცემული სცენისათვის. მასში არ არის არც ერთი ზედმეტი ხაზი, რომელიც სხვა არტისტკას მის ადგილზე მიიყვანდა კარიკატურამდე, შარჟამდე.

მთელ სცენას და დარბაზს აძლევს სიხალისეს, საკმარისია შორიდან შემოგესმათ მისი გულიდგან მოხეთქილი სიცილი, რომ იწამოთ საოცარი ხელოვანი, გაამართლოთ სცენა მოშორებული ცხოვრებას და თავის კანში მომწყვდეული.

მის სიცილს, მის თამაშს აქვს ფოლფორი, რომელაც იწვის და მაყურებელსაც სწვავს. ეს კი მთავარია არტისტისითვის.

უკვე ოთხი წარმოდგენა გაიმართა და ოთხივეჯერ სავსებით გაამართლა თავისი სახელი. მოიკოჭლებს უთუოდ რეპერტუარი. მაგრამ ეს სხვა საკითხია. ჩვენ ის გვახარებს, რომ ვარია მესხიშვილმა გაიმარჯვა, მესხიშვილის საყვარელ გვარზე კიდევ ერთი ღირსებით დაამშვენა და დაუტოვა მხილველებს საუკეთესო მოგონებანი თავის თავზე, როგორც არტისტკაზე.

გვწყინს მხოლოდ რომ არტისტკა შემოფრინდა როგორც ფანტასტიური ფრინველი, რომელიც ისევ მალე მიიმალება ჩრდილოეთის ნისლებში.

გვაწუხებს, რომ ლადო მესხიშვილის ქალიშვილი, ამშვენებს სცენას, რომელსაც ისედაც მრავალი მსახური ყავს.

გაგვახარებდა კიდევ უფრო, რომ არტისტის ქალიშვილი, რომელიც ეროვნული კულტურის ერთი მთავარი ბოძია, ყოფილიყო ქართულ სცენაზე.

**შალვა აფხაიძე.**

# ლადო მესხიშვილის საღამო

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ლადო მესხიშვილის უმცროსი ქალიშვილი ვარია ალექსი-მესხიშვილი. ამ კვირას მოთავდება მისი გასტროლები რუსთაველის თეატრში. წარმოდგენებს აუარებელი ხალხი ესწრება და პირველი ჩამოსვლა ტფილისში 7-ს ვ. მესხიშვილის ბრწყინვალე გამარჯვებით თავდება. ქართული საზოგადოებას ლადო მესხიშვილის ქალზე გადააქვს თავისი სიყვარული და მოგონება უსაყვარელესი არტისტის, თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მისი ქალი ღირსეული მემკვიდრეა თავისი მამის.

რუსეთის პრესსა ერთხმად იღნიშნავს, რომ ვარია მესხიშვილის სახით, რუსულ თეატრს დიდი და ძვირფასი ნიჭი ემატება. ეს მით უმეტეს დასაფასებელია, რომ მსახიობი ქალი ჯერ სულ ახალგაზრდაა.

როგორც ჩვენ გადმოგვცეს ვარო მესხიშვილის ქალი, თავის გასტროლების გათავების შემდეგ აპირებს მოაწყოს ლადო მესხიშვილის საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი არტისტები და პოეტები. საღამოს შემოსავალი გადაიდება ლადო მესხიშვილის ძეგლის ასაგებ ფონდის შესაქმნელად. საღამოს მომწყობ კომისიას აგრეთვე აზრად აქვს შექმნას თანხა ამ საღამოს ასანიშნავად დაარსდეს ერთი სტიპენდია ქართულ დრამატიულ სტუდიაში. აუცილებელია ქარველი საზოგადოება დიდი ყურადღებით მოეპყრობა ლადო მესხიშვილის გახსენებას...

# აისედორა დუნკანი ტფილისში

სრულიად მოულოდნელი იყო აისედორა დუნკანის ტფილისში ჩამოსვლა. ამასთანავე ისიც გამოირკვა, რომ დუნკანი ტფილისში მხოლოდ ერთ საღამოს გამართავდა. ალბად ეს იყო მიზეზი, რომ იმ დღეს ოპერის თეატრში დადგმა უჩვეულო ღრიანცელი. ბილეთები, როგორც მოსალოდნელი იყო სპეკულიანტებმა და ობივატელებმა ჩაიგდეს ხელში. მათი ნიშნით წავიდა კიდეც საღამო., ძველები ადარებდენ წინანდელ დუნკანს ეხლანდელს და მოწიწებით სდუმდენ, უფრო ახალგაზრდები კი ორაზროვანად გამოთქვამდენ თავიანთ უკმაყოფილებას.

სნობერი კაფეშანტანებს ნაჩვევები ვერ ეგუებოდენ აისედორა დუნკანის სასტიკ კლასიციზმსს. უფრო გათამამებული იყვენ ცეტი ჟურნალისტები. შეიძლება ითქვას, რომ ამ ღამეს აისედორა დუნკანს არ ჰქონია გამარჯვება... როგორც გავიგეთ შემდეგ აისედორა დუნკანს ჯავრი უყრია სბრუი ლისიცინ აზარპეტიანის სტუდიაზე ასეთი სკანდალი მგონი ჯერ არ ყოფილა ტფილისში. . ყოველ შემთხვევაში ამ სტუდიისთვის ეს სკანდალი საბედნიერო იქნება.

აისედორა დუნკანს ჰქონდა ამის უფლება, რადგან „დიდების მაშინას“ აქვს თავისი უხერხულობა.

აისედორა დუნკანი ძალიან აღტაცებულია საქართველოთი. ტფილისში ის იმიტომ ჩამოვიდა, რომ მთავრობასთან აწარმოვოს მოლაპარაკება თავის სტუდიის ტფილისში გადმოტანის შესახებ.

მოულოდნელი შეხვედრის დროს „ცისფერ ყანწები“-ს პოეტებთან კაფე De Paris“-ში აისედორა დუნკანი ლაპარაკობდა, რომ მის ოცნებას შეადგენს საქართველო გახადოს თავის შკოლის ბაზად.

მე სიკვდილივით მიყვარს მზეო... აისედორა დუნკანს ამ დღეს სიტყვით მიმართეს: ვალერიან გაფრინდაშვილმა, არჩილ მიქაძემ, გ. ქუჩიშვილმა, გ. ლეონიძემ და ტიციან ტაბიძემ. ყოველ თავის საპასუხო სიტყვას აისედორა დუნკანი ათავებდა: საქართველოს და პოეზიის ქებით.

აისედორა დუნკანის ჩამოსვლა ტფილისში ემსგავსება შარშან შემოდგომაზე მოვარდნილ ვეფხს. . ის იყო ისევე ეგზოტიური და ძვირფასი. ჩვენ ვისურვებდით, რომ აისედორა დუნკანს აუხდეს თავისი სურვილი და საქართველოში მოახერხოს ინსტიტუტის გახსნა. ქართული რასსა, თავისი ბუნებრივი პლასტიური ნიჭით. ღირსია აისედოდ დუნკანის ოსტატობის და გენიის.

# სადარბაზო ბარათი

ეს წერილი ავტობიოგრაფიის სახით და საოაურით “О себе“ დაწერილია რუსულ ჟურნალ „Пламя“ სთვის. მოგვყავს ჩვენ აქ რედაქციის თარგმანში, რომელიც გაკეთებულია რუსულ ხელთაწერიდან.

ძნელია თავის თავზე წერა. ან ძალიან მორიდებული იქნები ან და პირიქით ზედმეტს იტყვი. ორივე შემთხვევაში სიმართლე არ იქნება. უკეთესია ლაპარაკი „მიმსგავსებით“, რასაკვირველია—ეს მაინც ყველაფერი არ არის. მაგრამ, მე მგონია, ლიტერატურულ გერადილკისთვის მაინც საკმარისია.

პოეზიაში ჩემთვის პირველი სახელი—ჰომეროსია. მე იმას ვგრძნობ „ფიზიოლოგიამდე“. ის მარტო: მითოსის მქნელი სათავეა და ცეცხლის მწიფე თესლი. ელლადა მასში მოცემულია, როგორც მზეში. მასში არის ის რაც არ არის „დასავლეთში“.

ევროპა დაშორდა ძირებს: და შეიქნა მსოფლიო სხეულს დაშორებულ „ინდივიადათ“. კოსმიური სახე ამ გაჭკვეთის არის ჰამლეტ. ჰამლეტ იგივე ორესტია ძველ ტრაგიკოსთა: მხოლოდ ჰამლეტის შეგნებაში „დროს კავშირი დაშლილია“, ორესტის შეგნება კი მხოლოდ ამ კავშირით საზრდოობს. ჰამლეტში უკვე არ არის „Anamnesis“-ი, მაშასადამე არ არის მიწა. დედამიწაზე სევდას გადმოგვცემს ფაუსტი: მას მოწყურდა ხელმეორეთ შეერთება მიწასთან, თუნდაც ამისთვის საჭირო გამხდარიყო ისეთი საფასური, როგორც ეშმაკისთვის სულის მიყიდვა. მაგრამ ამ შეერთების დროს მიწა გამოდგა სულამომძვრალი და თვითონ ფაუსტი (მეორე ნაწილში) ჩვენ გვევლინება უბრალო ინჟენერათ.

დასავლეთის მსოფლიო გრძნება გახდა რაციონალისტური და ფენომენალისტური. ამ მსოფლიო გრძნების გენიალი გამომხატველი არის კანტი, რომლის სისტემაც, ვლადიმირ სოლოვიოვის ფასდაუდებ თქმით არის მხოლოდ „კოსმიური სოლიპსიზმი“. ყველგან ციხეებია აჩრდილებით და გამოსავალი არ არის არსაიდან. ასეთია დასავლეთის მთელი არსება.

მე არ ვდებ ბრალს. მე მხოლოდ აღვნიშნავ: მე მეტსაც ვიტყვი, შეიძლება ეს აუცილებელი რგოლიც იყოს მსოფლიო. განვითარებისა.

მაგრამ მაინც შთაგონებულია შორეული სახე ჰომეროსის.

ის „ერთია“, ვითყვი პირდაპირ „ილიადასთან“ შედარებით დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ ჩემთვის მარტო **ზეცის ბედეკერია.**

ბუნება უბრალოა. მაგრამ ბუნებაში არის ტკივილი. **უამისოთ არ არის პროცესი.** თუ ჰომეროსს უბრალოა საჭიროა ტკივილისთვისაც თავის პოეტი. ასეთი პოეტია ჩემთვის შარლ ბოდლერ. გაჩკეთისა და გაშორების გარეშე არ არის პროცესსი. ამაშია სწორეთ დეკადანსის პრობლემა და არა გადაგვარებაში, როგორც ჰგონიათ ეს ნორდაუსტებს. „ბოროტების ყვავილებში“ მოცემულია ტკივილისა და გაჭკეთის ძლიერი სურნელება—და არა ლეშის გახრწნა.

აქ ბოდლერი პირველია და აქამდე მას ვერავინ უსწორდება. ის ჰომეროსის შემდეგ ყველაზე დიდი პოეტია: არა შედარების წესით, არამედ პოლიარობით, მაგრამ მაინც პარალელის დაყვანამდე. თუ ჰომეროსს მიწაა და ბელტი, მაშინ ბოდლერი ასტრალია და კაპრიზი პატარა მხეცის, ბოდლერი თავისებურად მართლაც ერთადერთია. ის უსრულესი ლირიკოსია. მისი ლირიკული პიესები - ორგანიული ფაზებია მისი სულიერი ცდის.

მისი ლირიკა გადავარდნა კი არ არის - არამედ რგოლებით გადასვლაა. „ბოროტების ყვავილები“ ისე იკითხებიან, როგორც ნამდვილი პოემა.

ამას გარდა მისთვის ნაცნობია გიოტეს ესტეტიური მაქსიმა, ძალიან ძნელი, მაგრამ მაინც სავალდებულო. In der Bechrâ nikug zeit sich ert der Master.—ის ძალიან ხშირად უფსკრულის წინ არის, სადაც ბევრია ცთუნება (აქედან არის მისი „სატანიზმი“) მაგრამ მაინც მართალია ბარბიე დ'ორევილი, რომელიც მას უძახის დანტეს შემდეგ უქრისტიანესს პოეტს.

სიმბოლისტური პოეზია არსებითათ იყო ბოდლერიანული. ამას ამბობს რემიდეგურმონ და ის მართალია. აქ მე ვასახელებ სახელებს, რომელნიც რკალავენ ფრანგულ სიმვოლიზმს: მალარმე, ლაფორგი, რემბო. ყველა ესენი უდიდესი ტალანტები არიან და მიუხედავად ბოდლერის გავლენისა მაინც უაღრესად ორიგიხალურიც. მათში ძალიან ბევრი იყო „თავისანაბრობა“, რომელიც ასე სძულდა გიოტეს. მალარმე შეპყრობილია „სრულყოფის დემონით“ და სიტყვის კაბალისტიკამდე დადის. ლაჭორგი სტირის სასოწარკვეთით და თავს იფარავს ირონიაში. და გამოდის: აპოკალიპსის არლეკინადა: რემბო გიჟიანობს და არ იცის შინაგანი კანონი—ეს არის მისი ტემპერამენტი—კენტავრი უფსკრულის წინ. საერთოდ ფენომენალიზმი მაირც ამარცხებს მათ. მაინც უნდა გამოვტყდე, რომ მათგან მაინც—ჰქრის ლათანურ რასსის ხერხემლის ტვინის თვალისმჭრელი ელვარება. აქ საჭიროა ერთი შენიშვნის გაკეთება. რუსული სიმვოლიზმი (ვიაჩესლავ ივანოვ, ანდრეი ბელლი, ალექსანდ ბლოკ“) არ ყოფილან ფენომენალისტები. რუსული სივოლიზმი სულ სხვა წიაღიდან არის გამოსული და მისი შინაგანი არსება კიდევ სხვაა. მაგრამ ეს სხვა განსაკუთრებით ეკსკურსის საგანია.

მე გამოვედი სიმვოლიზმიდან. პირველყოვლისა მე სიმვოლიზმს ვიხილავ, როგორც ფილოსოფიურ მსოფლიოს გზნებას. მე მას ვ‘ღებ. შემდეგ სიმვოლიზმი, როგორც ლიტერატურული შკოლა. აქ შესაძლებელია ბევრი კამათი. მე აღარ გავაგრძელებ. მე არაფერი არ მაქვს საწინაალმდეგო სიმვოლიზმის, როგორც ლიტერატურულ შკოლის, თუ ას სახელის ქვეშ ვიგულისხმებთ შეგნებას პოეზიისას, როფორც ასეთისას. ამ შიმთხვევაში გამოჩნდება ბევრი სამვოლისტი—სიმვოლიზმამდე. უკანასკნელად სიმვოლიზმი—როგორც მეთოდი. აქ კიდევ უფრო მეტი გადახვევბია შესაძლებელი. ძალიან ძალა მოკრეფილი ჰვრეტა საგანის, როგორც სიმბოლოსი, თან იწვევს „სიმვოლოს“ სქემათ ქცევას და „საგანის“ სიკვდილს. თუ სიმვოლოს უნდა „სხეულად“ ქცევა, საგანს უნდა ჰქონდეს თავისი ყოფნა. მე არ შევუდგები ამ ნიადაგზე ჩადენილ აუცილებელ ცოდვების მაგალითების მოყვანას, ჩემთვის—ყველაზე შეუცდომელი მეთოდი- არის დოსტოევსკის მეთოდი. ის ისე შეჭკრავს და გამოკვეთავს საგანს, რომ საგანი თვითონ ხდება სიმვოლოთ. ამის მიზეზია, რომ მისი რეალობა, ყოველთვის გადადის ფანტაზმაში. პოეტური სიტყვა—საგანის ასტრალი სხეულია. ეს სხეული არის სახელი, რომელიც ძველი ემპედოკლეს სიტყვით არის დასაწყისი და ნორმა ყოველი საგანისა. რადგან არ არის სხვა სიტყვა მე ამ მეთოდს უძახი „ნეორიალისტურს“.

რომ დავასრულო წრე, მე დავასახელებ კიდევ ორ სახელს: ნიცშე და დოსტოევსკი, მე განვიცადე ნიცშე და განვიცადე დოსტოევსკიც. ნიცშემ მე მომცა დიონისი, ურომლისოდაც მე ვერ წარმომიდგენია პოეზია, დოსტოევსკიმ მე მოაცა კიდევ დიონის, მაგრამ სხვა სახით, ურომლისოდაც აგრეთვე მე ვერ წარმომიდგენია შემოქმედება.

ყველა ცალკე ლიტერატურულ პრობლემათა შორის მე ყველაზე უფრო მაინტერესებს „ლირიკის პრობლემა“. ლირიკა პერსონალურია. ამას თითქმის ყველა ეთანხმება. მაგრამ უბრალო პერსონალიზმი არ არის მაინც ლირიკა. „ჩემი ტვერის განმარტოებაში“ - არის ბიოგრაფია და არა ლირიკა. ნამდვილი ლირიკა არის იქ, სადაც პიროვნება თავის თავს გადაეზრდება. სადაც არის ცოცხალი „Anamnesis“-ი—იქ არ არის ჭეშმარიტი ლირიკა. შემოქმედების შეგნება Anamnesis“-ის იძლევა უდიდეს ლირიკას. ნამდვილი ლირიკა არ არის „პირადი“ ან „არა პირადი“—ის არის „პირადის ზევით“ აქ იშლება კიდევ მეორე მხარე: სინამდვილე განცდისა, არიან ნამდვილი სულები და არიან „გაკეთებული“. ფასუსტთან საუბარის დროს გულუბრყვილო გრეტხენ ამბობს: მგონია რომ ამ კაცის მოახლოვების დროს (მეფისტოფელი) მე შემიწყდება შენი სიყვარული. მეფისტოფელი არყოფნაა, და რასაკვირველია მარტო მისი იქ ტრიალი უკვე ხრწნის სიყვარულის ატმოსფერას. ლაპარაკი კი იმას დიახაც შეუძლია. იმას შეუძლია რომელიმე ჰერედიაზე უკეთესი სონეტიც კი დასწეროს. მე ვიცი მაგალითად რუსეთში პოეტი, რომელსაც ლექსები უფრო „მაგარი“ აქვს, ვინემ ბლოკს, მაგრამ რუსეთის ცოცხალ მოგონებაში ის ვერასდროს ვერ მივა ბლოკთან. ბოლოს და ბოლოს ლირიკას ჰქმნის ის „გამოუთქმელი“, რომელიც არა მატერიალურად არის სტრიქონებს შორის. ლირიკის აუცილებელი გამოსავალია: სულიერი ღვაწლი ეს სტრიქონები თავის თავად ხსნიან ჩემ განწყობილებას არსებულ მიმართულებებისადმი.

რამდენიმე სიტყვა ფუტურიზმზე. აქ საჭიროა ორი ფრთის შესახებ ლაპარაკი. მაიკოვსკის ტიპის ფუტურიზმი ტეხნიკურად მისაღებია, მაგრამ მისი სულიერი არსება გამოხრულია. ირონიისთვის საჭიროა, ირონიის ტარება, როგორც ნიღაბისა. საუბედუროდ ამ ტიპის ფუტურისტებს ირონია შიგ პირში ურყამს, და აქედან არის მათი ტანის ღრძობა და მანჭვა. შეიძლება მე მიპასუხონ, რომ აქ არის საკუთარ თავის ირონია. (რაც ჯერ კიდევ გერმანელ რომანტიკოსებმაც იცოდენ), მაგრამ ასეთი ირონია გულისხმობს პიროვნების ინდიურ გაგებას როგორც „Uqadche (რაც არ იცოდენ გერმანელ რომანტიკოსებმა და არ იციან, მგონია მე დღევანდელმა ევროპის პოეტმაც, რომელნიც ლაპარაკობენ ირონიაზე), თუ აქ ირონია ჰბურავს სახეს „ზაუმნიკების“ ტიპის ფუტურისტებს სახე სულ გამოხრული აქვთ. იქ ნიღაბის იქეთ სახე სულაც არ სჩანს, უფრო ღრმა კიდევ ეს გრძნობა დადაისტების მიმართ.

ვინმე რომ გაასულელო, თვითონ არ უნდა იყო სულელი. მაგრამ დადაისტები პატარა ხალხია, ამისთვის თავს არ იწუხებენ და სხვის მაღერათ თავის თავს ასულელებენ. მართლაც იქნება მდგომარეობა, რომელსაც ხელს ვერ მოუჭერ—მაგრამ ეს არისუფრიო „დროს ნიშანი“ ვინემ რამე ღირებულება. მაგარ სიტყვების ლექსიკონი კი მეთ შეუძლიათ ვისგანაც უნდა ისწავლონ, თუ გინდათ მოხუც ვოლტერისგანაც, რომელმაც ჩვენ პლანეტას დაუძახა: „Les latrines de l'umverso (ფროიდის მეთოდით შეიძლებოდა ბევრი რამის გაგება ბებერი სკეპტიკის კუჭის მონელების შესახებ) გამოძახება, რომელსაც ესვრიან ქვეყანას ჰომუნულუსები—ეს ჯიბეში თითის ჩვენება ციკლონის მიმართ: ჭეშმარიტათ გასართობი სანახავია.

კონსტრუქტივიზმზე და „საგანიზმზე“ ლაპარაკიც არ შეიძლება.

ეს არის საკითხი თვითოონ ხელოვნების გაუქმების.

რამდენიმე სიტყვა მაშინიზმზე და ურბანიზმზე. აქ დიდი გაუგებრობაა დამარხული. გასაკვირველია ურბანიზმა და მაშინიზმა დიდი ქალაქებისა და უზარ მაზარ მანქანების დროს უნდა სთქვას თავისი სიტყვა.

მაგრამ უმთავრესად ეს ეხება პოეტურ სიტყვის გამოთქმის საშუალებას, თვით მიზნობას აქ შეუძლია მოგვცეს ამერიკანიზმი, რომლიც თავიდან ბოლომდე აშენებულია სიყლბეზე. ვერხარნი ჩემი ფიქრით, გაცილებით ძლიერია თავის ფლანდრიის ციკლში, ვინემ ურმანისტულ ნაწარმოებებში, სადაც მას უსწრობს ვიქტორ ჰიუგეს ბარაბანი.

უკანასკნელ დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ პროლეტარულ პოეზიაზე. ის გადატეხა, რომელიც უნდა გააკეთოს პროლეტარიატმა რადიკალურად დააჩნდება საგნებს და მოვლენებს და ამიტომ უთუოდ გადავა პოეზიაშიც. მაგრამ მე არ მგონია, რომ ამისთვის საჭირო იყოს სპეციალური ლიტერატურულ სკოლის დაარსება.—განა არსებობდა სპეციალურად ბურჟუაზიული პოეზიის შკოლა? მე აქ მინდა მოვიყვანო ულრმესად მართალი სიტყვები ა. ვ. ლუნაჩარსკის, სხვა საბაბით ნათქვამი. რასაკვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო აკადემიური დრამა

**ამით აცხადებს, რომ მის მიერ გამოშვებულია აბონემენტები**

1923—24 წ. სეზონის 20 წარმოდგენაზე (10 პრემიერა სრულიად ახალი დადგმები და 10 განახლებული ძველი პიესები), (საბონემენტო დღეები ხუთშაბათები)

**აბონემენტი აძლევს მყიდველს 10 % ეკონომიას**

## დასის შემადგენლობა:

**ქალები:**

ტასო აბაშიძე, ცაცა ამირეჯიბი, ვერა ანჯაფარიძე, სუზანა ბეჟანიშვილი, ბარბალე გამრეკელი, ნინო დავითაშვილი, ელენე დონაური, ალისა ქიქოძე, ანნა ქიქოძე, ანნა შოთაძე, ელისაბ. შავიშვილი, **ნინო ჩხეიძე**, ცეცილია წუწუნავა, თამარა ჭავჭავაძე, ნატალია ჯავახიშვილი

**ვაჟები:**

ნიკო გოცირიძე, ნიკო გვარაძე, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, მიხეილ ვარდოშვილი, პალტონი კორიშელი, მიხ. ლორთქიფანიძე, დიმიტრი მჟავია, კონ. მიქაბერიძე, ალ. ქორქულიანი, დავით ჩხეიძე, უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, აკაკი ხორავა, ვიაჩესლავ ჯიქია

**რეჟისორები:** 1. ალექსანდრე ახმეტელი 2. მიხეილ ქორელი 3. აკაკი ფაღავა

**მოკარნახე:** ალ. მგალობლიშვილი 3. ქორდნია

**რეჟ. თანაშემწენი:** 1. დოდო ანთაძე 2. ალ. გველესიანი

**მთავარი მხატვარი** **ვალერიან სიდამონ-ერისთავი**

**მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ნაწილის გამგე:** **კოტე მარჯანიშვილი**

## რეპერტუარი

1. შოთა რუსთაველი ვეფხის ტყაოსანი (ინსცენ.)
2. გიორგი ერისთავი „გაყრა"
3. აქვსენტი ცაგარელი „რაც გინახავს ველარ ნახავ"
4. გაბრიელ სუნდუკიანცი—„ხათაბალა"
5. დ. კლდიაშვილი—„სამანიშვილის დედინაცვალი"
6. ულ. შექსპირი—„**რომეო და ჯულიეტა**"
7. მოლიერი—„**გააზნაურებული მდაბიო**"
8. კარლო გოცი—„**მწვანე ჩიტი**"
9. კარლო გოლდონი—„**ორი ბატონის მსახური**"
10. სკრიბ—„**ჭიქის შლიაპა**"
11. ერნსტ ტოლლერ—„**ადამიანი მასსა**"
12. გეორგ კაიზერ—„**გაზი**"
13. გეორგ კაიზერ—„**დილიდან შუაღამემდის**"
14. ფრანც ვერფელ—„**შპიგელმენშ**"
15. სახინტო ბენეგენტე—„**ინტერესთა თამაში**"
16. ლუნაჩარსკი—„**განთავისუფლებული დონ-კიხოტი**"
17. სინგ—„**გმირი**"
18. ლუენც—„**ბერტრან დე-ბორნ**"
19. პერი—„**თანასწორდბის კუნძული**"
20. მელოდრამა—„**დედის დალოცვა**"

## განახლებული

1. შექსპირი—„**ოტელო**"
2. შილლერი—„**ყაჩაღები**"
3. ლოპე დე-ვეგა—„**ფუენტე ოვეხუნა**"
4. დავით კლდიაშვილი—„**ირინეს ბედნიერება**" „**დარისპანის გასაჭირი**" „**უბედურება**"
5. შალვა დადიანი—„**გუშინდელნი**"
6. გრიგოლ რობაქიძე „**ლონდა**"
7. ზ. ანტონოვი „**მზის დაბნელება საქართველოში**"
8. ს. შანშიაშვილი—„**ბერდო ზმანია**"
9. ი. გედევანიშვილი „**სინათლე**"
10. ოდრანი—„**მასკოტ**"

**ახალი დეკორაციები და კოსტიუმები შემდეგი მხატვრებისა:**

**ვალერიან სიდომონ-ერისთავის, დ. შევარდნაძის, ლ. გუდიაშვილის, გამრეკელის, გ ზდანევიჩის, რაინევიჩის, ნიკოლოზ უშინის, პაპორ-გოპულოს და ტომრუჩისა**

# სეზონის გახსნა ოქტომბრის 18-ს

**დადგმა კოტე მარჯანიშვილის**

# გ ა ყ რ ა

გიორგი ერისთავის

დეკორაციები და კოსტიუმები ვ. სიდომონ-ერისთავისა

**შემდეგი პრემიერები.**

**ხუთშაბათს 25 ოქტომბერს**

## ი ნ ტ ე რ ე ს თ ა თ ა მ ა შ ი

ხასინტო ბენევენტესი 3 მოქ.

თარგმანი **ვ. გაფრინდაშვილის.** დადგმა **კოტე მარჯანიშვილისა.**

დეკორაციები და კოსტიუმები ნიკოლოზ უშინის

**ხუთშაბათს 1 ნოემბერს**

სინგის 3 მოქმედ. **გმირი** თარგმანი **გრ. რობაქიძის** დადგმა **კ. მარჯანიშვილის და ა. ახმეტელის**

დეკორაციები და კოსტიუმები მხატვარ ვალ. სიდომონ-ერისთავისა

**შემდეგი პრემიერები.**

**ხუთშაბათს 8 ნოემბერს**

## ა დ ა მ ი ა ნ ი მ ა ს ს ა

ერნსტ ტოლერის 7 სურათ.

თარგმანი **გრ. რობაქიძის.** დადგმა **მიხეილ ქორელის**

დეკორაციები და კოსტიუმები მხატვარ **კ. ზდანევიჩის**

სახელმწიფო აკადემიური დრამის გამგე **დავით იოსებისძე ჩხეიძე.**

# ბიბლიოგრაფია

ნ. მარრი. რით ცხოვრობს იაფეტური ენათ მეცნიერება.

პეტროგრადის აღმოსავლეთის ცოცხალ ენათა ინსტიტუტი გამოცემა. პეტროგრადი 1723 წ.

ეხლახან ტფილისში ჩამოვიდა აკადემიკოსს ნიკო მარრის სხვა რუსულ გამოცემსთან ერთად წიგნი, რომელიც დაბეჭდილია ქართულ ენაზე და ქართული ანბანი შემდეგ გადატანილია და დაბეჭდილი ლატვინურ შრიფტით. ამ წიგნს ეწოდება: „რით ცხოვრობს იაფეტური ენათ მეცნიერება?" ეს წიგნი; როგორც სხვა ყველა ნაწერები აკადემიკოსს ნიკო მარრის აღბეჭდილია იმ დიდი ნიჭით და საგნის ულრმესი ცოდნით. რომელიც ნიკო მარრს განასხვავებს თითქმის ყველა მეცნიერებიდან ამ დარგში. უეჭველია ყველასათვის ნიკო მარრის უდიდესი დამსახურება იაფეტო დოლოგიის მეცნიერებაში. ეს თითქმის საქვეყნოთ ცნობილია. ეხლა; ამ წიგნში სხვა პრობლემათა ერთად წამოყენებულია ერთი მეტად საჭირბოროტო საკითხი, რომელიც ჩვენ გვგონია დიდ კამათს გამოიწვევს ქართულ მწერლობაში. აკადემიკოკი ნ, მარრი წინასიტყვაობაში სწერს: „ჩვენ ეხლა ხან უნდა გვაინტერესებდეს მთელი კავკასიის ერთ ანბანზე გადასვლა, განსაკუთრებით იმ ერთა, რომელნიც იაფეტური მოდგმისანი არიან წმინდათ ჩარევით. გავრთიანებულია კავკასია, ერთი ანბანი, იაფეტურ ენათ მოდგმის ბუნებაზე ჩამოყალიბებული! იქნება, ჩვენი სამეცნიერო იაფეტური ანბანი უკუეგდოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მარა, სინიმუშოთ მასნც ვარგა, მითაც ადვილი დასანახია, თუ რამდენად გაუადვილდეაა მთელ კულტუროსან მსოფლიოს, მაგალითად, ქართულის შესწავლაც მის დახმარებით, მეტადრე თუ ასოებსზე თუ ქვე ცალკე დასმული ნიშნები ორგანაულად შეუერთეთ დედო ნაწილს თითო ასოისას".. უეჭველია ამის შესახებ დიდი კამათი შეიქნება ქართულ მწერთობაში, ჩვენ რეცენზიის ადგილი ნებას არ გვაძლევს ჩვენი აზრი გამოვთქვათ ამის შესახებ, ავნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს საკითხი ადრე თუ გვიან უთუოდ უნდა დამდგარიყო, და მეტად საინტერესოა მისი გადაწყვეტა. თავის მოხსენების დიდ ნაწილში აკადემიკოსი ნიკო მარი ამტკიცებს, თუ როგორ გაიმარჯვა იაფეტოლოდოლოგიამ. და რა უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ქართულის შესწავლას: მარრი დასძენს: „მრწამს აგრეთვე ქართული ტფილისის უნივერსიტეტის ბრწყინვალე მომავალი ჩვენ საინტერესო დარგში, თუ მეცნიერების მსოფლიო მას შეიგნებს რა და განახორციელებს თავის მდიდარ შეძლებულებას, მთელი, ერთობულად მთელი კავკასიის უნივერსიტეტად გახდესო" ეს წიგნი ალბად განსაზღვრული ეკზემპლიარებია გამოსული და ამიტომ ღირს ძვირად 9 მილიონი. კარგი იქნებოდა სახელმწიფო გამომცემლობას ის გამოეცა ხელმეორედ უფრო ფართო გასავრცელებლად, რადგან წიგნი სულ შეიცავს 78 გვერდს. მიუხედავათ იმისა როგორ გადაწყდება ის საკითხი, რომელიც წინასიტყვაობაში აქვს გამოთქმული პატივცემულ მეცნიერს ეს წიგნი სიამაყით და თავის თავისადმი პატივისცემით აავსებს ყოველ შეგნებულ ქართველის გულს. სასურველია აგრეთვე ქართულად გადათარგმნოს ნ. მარრის ახლახან ტფილისში ჩამოსული წიგნები.

**ვ. გ—ელი.**

---

ველია ძალიან სასაცილოა რამდენამდე საზიზღარი კიდეც, რომ დაფასო პოეტი ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიის პროგრამის ერთგულებით.

მაგრამ რადგანაც, რომ საერთოთ ვლაპარაკობთ, ანტიბურჟუაზიული ექსპრესიონისტური პროგრამა არის ერთგვარი სოციალ-პოლიტიკური მოვლენა, ამიტომ მე მინდა ვაჩვენო, რომელ ხაზისკენ იხრება ის კაიზერთან იმ ხაზიდან, რომლითაც მიდის კომუნიზმი, არა როგორც ლიტერატურული სკოლა (ასეთი არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს) არამედ, როგორც პარტია. (წინასიტყვაობა კაიზერის დრამების თარგმანების წიგნის).

მინდოდა კიდევ გამომეთქვა ჩემი აზრი ექსპრესიონიზმზე. მაგრამ ამაზე ცალკე. მხოლოდ შევნიშნავ, რომ ეს მიმართულება ძალიან გიბრიდულია და მისი ძირითადი ელემენტები რუსეთშიც კი იყო დიდი ხანია ცნობილი.

ეს სწორეთ, რომ ითქვას არის სულიერი განწყობილება დამარცხების შემდეგ, მაგრამ რეზინიაცია ჩემთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია მაშინ, როცა გაიმარჯვე, ვინემ დამარცხების დროს.

„სადარბაზო ბარათისთვის" ესეც კმარა. საერთოდ ამ აზრებს იზიარებენ ჩემი მეგობრებიც პოეზიაში „ცისფერი ყანწების" პოეტურ შკოლის წარმომადგენელნი. ეს შკოლა დაარსებულია 1916 წელს სამი განსაკუთრებით ძლიერ პოეტებისგან. მათი სახელებია: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი. მათთან ერთად მუშაობდენ სანდრო ცირეკიძე (ეხლახან გარდაცვალებული) კოლლაუ ნადირაძე, ალი არსენიშვილი, ნაწილობრივად ივ. ყიფიანი.

აქვე ასანიშნავია ნოველისტი ა. ჭუმბაძე და რომანისტი ნიკო ლორთქიფანიძე. ამის შემდეგ ამ ჯგუფს ჩაერიენ მაგარი ახალგაზრდები: შალვა აფხაიძე, გიორგი ლეონიძე, რაჟდენ გვეტაძე, ლელი ჯაფარიძე, ნიკო ლომიწიშვილი, შალვა კარმელი (წელს გადაცვლილი).

მე მიმაჩნია ლიტერატურულ ბედნიერებათ მათ შორის მუშაობა. მე არ ვიტყვი, რომ ჩვენ შორის არ იყოს უთანხმოება, მაგრამ ჩვენ გარშემო ჯერ კიდევ ბევრია ნატურალისტური და დიდაქტიური ჯგუფები და უფრო საჭიროა ერთობაზე ფიქრი.

ლექსში მე ვაფასებ რასსას და ტემპერამენტს. ევროპაში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ დინამიზმზე. მაგრამ, ვაი, ვაი, რომ იქ დინამიური ლექსები ძლაინ ცოტაა. ამ ნაკლს უფრო აძლიერებს კიდევ სხვა რამე.

მე ძვირად მინახავს არა ქართველი პოეტი, რომელმაც იცოდეს ლექსის კითხვა. ჩემთვის ლირიკა დიონისოს დიფერამბია. ლექსი უნდა იყოს ბუცეფალი—პოეტი ალექსანდრე მაკედონელი. ნაწილობრივ ამით აიხსნება ჩემი მიკერძოება ხორალებისადმი. ჩემი ოცნებაა—კოსმიური ალი. ჩემ ლექსებიდან ყველაზე დასრულებულად მიმაჩნია „ორლობის ეშაფოტი", ყველაზე უფრო დიონისიურად—„ტფილისის ხერხემალი". ყველაზე საყვარელი „ხორალები" ჩემ მიღწევათა მწერვალად მიმაჩნია უკანასკნელი ნაწარმოები „ქარდუ" (მისტერია—დრამა).

ყველა ქვეყნებიდან, რომელიც მემინახავს, ჩემზე სპარსეთმა მოახდინა უძლიერესი ჩდაბეჭდილება. იქ პირველად ავიხილე თვალი მიწაზე.

მე იქ დამებადა აზრი ლექსების ციკლის: „მზე", „გველი-მუხა". ევროპაში ყველაზე უფრო გამაკვირა: გერმანულმა მუსიკამ (ბახი და ბეტჰოვენი) გოტიურმა ტაძრებმა საფრანგეთ'ში. ფილოსოფოსებიდან ჩემთან ახლოს არიან: სულით პლატონ და პლოტინ, გონებით: ლეიბნიცი და გეგელი. მძულს რაც შემიძლია კოგენიანობა, თანამედროვეთაგან ყველაზე უფრო მიყვარს ბერგსონი, მხედართმთავრებში ყველაზე უფრო მაბრმავებს—ჰანიბალ. შეიძლება მიტომ რომ ძალიან მიყვარს სიცხე...

**გრიგოლ რობაქიძე.**

# ქრონიკა

**ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში დაბეჭდილი იქნება ანკეტა მომავალ სეზონზე. ანკეტაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ცნობილი რეჟისორები, არტისტები, პოეტები, მხატვრები და მეცნიერები.**

**ეგნატე ნინოშვილის გამოცემა.** სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა გამოსცეს სრული ნაწერები ეგნატე ნინოშვილის. წიგნის გამოცემა დაევალა სახელმწიფო გამომცემლობას. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ივანე გომართელი. განზრახულია აგრეთვე რუსულ ენაზე გამოიცეს ეგნატე ნინოშვილის ნაწერები.

**დრამატიულ სტუდიაში.** სახელმწიფო დრამის პარალერულად დრამატიულ სტუდიაშიც მზადდება ახალი დადგმები. აკაკი ფალავა სდგამს „პადუას დედოფალს" ალექსანდრე ახმეტელი სინგის „გმირს" და ტოლერის „ეუგენ უბედური".

**თამარა ვახვახიშვილი.** თამარა ვახვახიშვილის ქალმა დასწერა მუსიკა პანტომიმით, რომელიც განზრახულია დაიდგას დრამის თეატრში. კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით. მუსიკალურ და თეატრალურ წრეებში თამარა ვახვახიშვილის ნაწარმოები იწვევს აღტაცებას.

**ვარია მესხიშვილი გასტროლები.**

23 სექტემბრიდან რუსთაველის თეატრში დაიწყო ვარია ალექსი-მესხიშვილის ქალის გასტროლები. წარმოდგენებზე აუარებელი ხალხი ესწრება

პირველ წარმოდგენისთანავე მსახიობმა ქალმა გაიმარჯვა და მიიპყრო საზოგადოების დიდი ყურადღება.

**სახელმწიფო დრამა:** რუსთაველის სახელმწიფო დრამის თეატრმა გამოაცხადა თავისი რეპერტუარი და აბონომენტების ნუსხა. სეზონი დაიწყება 18 ოქტომბერს. ომის წინანდელ დროსთან შედარებით ბილეთის ფასები ძალიან დაკლებულია.

**ქართული კინო წარმოება.** მოხდა რეორგანიძაცია სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული კინო-სექციის. ამიერიდან კინო იქნება დამოუკიდებელი ტრესტი. კინოტრესტის სარედაქციო კოლეგიაში შედიან: დავით კანდელაკი, არჩილ მიქაძე, პავლე საყვარელიძე და ვირაპი.

გამზადებულია დასადგმელათ მთელი რიგი ახალი სურათების, მათ შორის; „პირველი ნაბიჯი" გიორგი წერეთლის, „ჩვენი ქვეყნის რაინდი" ეგნატე ნინოშვილის, არსენა ყაჩაღი, ილია ერენბურგის „ანდრეი კურბოვის ცხოვრება" და **ბევრი სხვა.**

**კამოს ცხოვრება ეკრანზე.** ცნობილი რევოლიუციონერის კამოს ცხოვრება მალე იქნება ეკრანზე ნაჩვენები. სურათს გადაიღებს ტფილისის კინოტრესტი. კამოს სურათს სცენარი ამ დღეებში დათავდება. სცენარი იწერება ბაჭუა კუპრაშვილის მონაწილეობით, რომელიც მომსწრე არის კამოს მთელი რევოლიუციონურ მოქმედების.

**არსენა ჯორჯიაშვილის ძეგლი.** ჟიური იხილავს არსენა ჯორჯიაშვილის ძეგლის პროექტებს. ძეგლის გაკეთება ნავარაუდევია ერთი წლის ვადაში. ძეგლის ამგები კომიტეტი განაგრძობს შემოწირულებათა შეკრებას.

ამ საქმეს მეთაურობს 80 წლის მოხუცი რევოლიუციონერი ვაინერი, რომელიც სპეციალურად ამისთვის ჩამოვიდა მოსკოვიდან. ის ბევრ ტერორისტულ აქტების მონაწილეა და აგრეთვე მონაწილეობას იღებდა გრიაზნოვის მოკვლის ორგანიზაციაში.

**ოვანესს თუმანიანი ქართულად.** ოვანესს თუმანიანის ლექსები სთარგმნა და წიგნად დაამზადა ი. გრიშაშვილმა. წიგნი ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება.

**იაკობ ნიკოლაძის ატელიე.** სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 2500 მანეთი ჩერვონეცით გადადოს იაკობ ნიკოლაძის ატელიეს გასაკეთებლად. იაკობ ნიკოლაძე უკვე შეუდგა ატელიეს აშენებას ატელიე მოთავსებული იქნა ვერაზე კობის შესახვევში.

**ხელოვნების ს სახლეში...** ხელოვნების სასახლეში სეზონი გაიხსნება შუა ოქტომბერში. მწერალთა კავშირები მოაწყობენ ჩვეულებრივად კვირას და ხუთშაბათს მოხსენებების კითხვას: ორშაბათობით ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი მოაწყობს საერთო საღამოებს ქართულ მუსიკაზე, თეატრზე, მხატვრობაზე და მწერლობაზე. ამ საღამოებზე მონაწილეობას მიიღებენ ქართული ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები მიმართულების განურჩევლად.

**„მეოცნებე ნიამორების" მე-10 ნომერი.** იბეჭდება და ოქტომბრის შუა რიცხვებში გამოვა „ცისფერი ყანწების" პოეტების ჟურნალი, „მეოცნებე ნიამორები"-ს მე-10 ნომერი ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით.

**პროლეტარულ მწერალთა კავშირი.** ხელოვნების სასახლეში შესდგა კრება და დაარსდა პროლეტარულ მწერალთა კავშირი. კავშირმა ამოირჩია თავის გამგეობა და აპირობს სისტემატიურ მუშაობას.

**ახალი გაზეთი „ხომლი"...** მწერალთა კავშირმა განაახლა დახურულ „ლომისის" მაგიერ ახალი გაზეთის გამოცემა. გაზეთს სახელათ ეწოდება „ხომლი" პირველი ნომერი გამოვა კვირას 30 სექტემბერს.

**კავკასიის გამოცემათა პავილიონი.** 9 ნოემბერს ტფილისში განზრახულ საკავშირო რესპუბლიკების საბჭოთა მორიგ სესიის გახსნის დროს ტფილისში გაიმართება კავკასიის წიგნების გამოცემათა პავილიონი. პავილიონის მოწყობაში მონაწილეობას იღებენ ამიერ კავკასიის ყველა რესპუბლიკების სახალხო განათლების კომისარიატები.

**აისედორა დუნკანის ინსტიტუტში.** სახელგანთქმული მოცეკვე ქალი აისედორა დუნკანი, რომელიც [illegible] ტფილისში იმყოფება [illegible] აწარმოებს სახალხო კომისართა საბჭოსთან, რომ მის ინსტიტუტში მოსკოვში გაგზავნილ იქნას მთავრობის ხარჯზე ათი ბავში, როგორც ეს გადაწყვიტა ბაქოს მთამადნის მუშებმა. აისედორა დუნკანს გადაწყვეტილი აქვს, თუ შესაძლებელი იქნება თავისი ინსტიტუტი ტფილისში გადმოიტანოს. ამის შესახებ ის აგრეთვე აწარმოებს მოლაპარაკებას ამიერ კავკასიის კომისართა საბჭოსთან.

**პიანისტი ბარერი.** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება და თავისი კონცერტი ჰქონდა კიდეც ცნობილ პიანისტს ბარრერს. სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული მუსიკალური განყოფილება აწარმოებს მოლაპარაკებას ბარრერთან, რომ ის დარჩეს ტფილისის კონსერვატორიაში.

**სარედაქციო კოლეგია.**

## საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კავშირი „წ ა რ მ ო კ ა ვ შ ი რ ი“

**ბალანსი 1923 წლის 1-ელ აგვისტოსათვის.**

ა ქ ტ ი ვ ი.

| | | ჩერვონცები |
|---|---|---|
| 1. | კასსა ბონებში | 194,914 |
| 2. | კასსა ჩერვონცებში | 91, — |
| 3. | მიმდინარე ანგარიში ბანკებში | 1,212,114 |
| 4. | აქციები და პაიები კოოპერ. ბანკ. და ცეკავშირ. | 29,456 |
| 5. | საქონელი საკომისიო | 4,191,728 |
| 6. | სასურსათო დუქანი | 18,477 |
| 7. | წევრნი მოკავშირენი | 7,640,810 |
| 8. | სხვა და სხვა პ. და დაწესებულ. | 1,605,647 |
| 9. | არა საიმედო ვალების ანგ—ში | 79,091 |
| 10. | საპასუხისმგებლო პირნი | 43,121 |
| 11. | გარდამავალი თანხები | 1,027,030 |
| 12. | მოძრავი ქონება | 199,641 |
| 13. | მოსამსახურენი | 58,808 |
| 14. | ხარჯები | 1,588,115 |
| 15. | დამზღვევ ოპერაციებ. შემოსავ.-გასავალი | 4,293 |
| 16. | კოოპერატიულ წიგნებ. გამომც. შემოსავ.-გასავ. | 9,321 |
| | ჯ ა მ ი | 17,993,366 |

ბუჰჰალტერი: ხელისმოწერა.

პ ა ს ს ი ვ ი.

| | | ჩერვონცები. |
|---|---|---|
| 1. | საპაიო თანხა | 496,815 |
| 2. | სათადარიგო თანხა | 36,218 |
| 3. | სესხი საქონლის დაგირავებ. რუსეთ. „გოსბანკში“ | 1,000, — |
| 4. | გაცემული ვექსილები | 136,694 |
| 5. | ცეკავშირი | —,181 |
| 6. | მოკავშირენი | 512,236 |
| 7. | სხვა და სხვა პირნი და დაწესებულებანი | 10,073,097 |
| 8. | საპასუხისმგებლო პირნი | 2,320 |
| 9. | გარდამავალი თანხები | 18,843 |
| 10. | მოსამსახურენი | 2,251 |
| 11. | კომინტენტები | 4,191,528 |
| 12. | საკურსო განსხვავება | 4,890 |
| 13. | სატრანსპორტო ოპერაც. შემოს.-გასავალი | 5,528 |
| 14. | შემოსავალი (საერთო) | 1,502,765 |
| | ჯ ა მ ი | 17,993,366 |

**გამგეობის წევრი.**

## სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი

### ძირითადი კაპიტალი 10.000.000 ოქროს მანეთი

**გ ა მ გ ე ო ბ ა მ ო ს კ ო ვ შ ი.**

**განყოფილებები:** პეტროგრადში, მოსკოვში, როსტოვში, კრასნოდარში, სიმფეროპოლში, ბაქოში, ასტრახანში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ტაშკენტში, ეკატერინოდარში, ნოვო-ნიკოლაევსკში, ირკუტსკში.

**საагენტოები:** სევასტოპოლში, ყაზანში, კურსკში, ტომსკში, პეტროვსკში.

### ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება

## განყოფილება ტფილისში

განყოფილება მოთავსებული იქნება თავისუფლების მოედანზე ლადო დუმბაძის ქუჩის და სომხების ბაზრის კუთხეში.

### განყოფილება აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:

**1. სესხის მიცემა** კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის ვექსილის და საქონლის საბუთების გირაოს ქვეშ.

**2. საინკასო** ვექსილების და საქონლის საბუთების.

**3. გაცემა სესხისა და მიღება** შესანახათ თანხეჲისა მიმდინარე ანგარიშებზე და კოოპერატიულ სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან, კერძო ფირმებისა და პირებისაგან.

**4. გადაგზავნა** ს. ს. რ. კ. ყველა ქალაქებში და საზღვარ-გარეთ, მოსკოვის სახალხო ბანკში ლიმიტედ (ლონდონი).

**მოქმედების რაიონი:** მთელი ამიერ-კავკასია, გარდა აზერბეიჯანის ს. ს. რ-სა.

**ყველა საბჭოს წევრებს, რწმუნებულებს და სარევიზიო კომისიის წევრებს მეცხვარეთა და მესაქონლეთა საზოგადოება**

## „ბ ი რ ლ ი კ ი“

აცნობებს: გაზეთ „რაბოჩაია პრავდა“—ში № 160 და 161 დაბეჭდილია წერილები მოქ. კლიკის, რომელიც ბრალს სდებს გამგეობას ბევრ დანაშაულში და არა საკადრისს საქციელში.

„ბირლიკი“ საზოგადოების გამგეობას მოქ. **კლიკის** გამოლაშქრება მიაჩნია მატყლის ბაზარზე შექმნილ ინტრიგების შედეგათ. გამგეობა ამაში ხედავს იმ წასისიანებას, რომელიც თანვე დაებედა ერთად ერთ მუსულმანურ კავშირს მთელ ამიერ კავ. ფედერაციაში, თავის მოღვაწეობის დაწყების დღიდან. პრესაში კამათს მოქ. კლიკთან და განმარტებებით გამოსვლას საზოგადოება თვლის არა მიზანშეწონილად ამიტომ თანახმათ საზოგადოებას წესდების მე 9 მუხლისა იწვევს რწმუნებულთა, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა საჩქარო ყრილობას, რომ წარუდგინოს მთელი მასალები, რომელიც აბათილებენ მოქ. **კლიკის** ცილისწამებას და აგრეთვე გააშუქოს საზ—ბის საქმეები.

ამ ყრილობაზე **„ბირლიკის“** გამგეობა იწვევს: საპატიო მწყემსებს და მეცხვარეთ საქართველოში საქ. კომპარტიის, მ. და გ. ინსპექციის და სხვა პარტიულ პოლიტიკურ გაზეთების და გამოცემათა წარმომადგენელთ. აგრეთვე ყველა დაინტერესებულ პირებს.

**კერძოთ „ბირლიკის“ გამგეობა იწვევს მოქ. კლიკს—წერილის ავტორს.**

ყრილობა დანიშნულია 7 ოქტომბერს და გაიხსნება სრულ დღის12 საათზე.

**შენიშვნა:** რადგან ყველა მეცხვარეები ამ დღეებში დაკავებული არიან ჯოგის გადადენით საზაფხულო საბალახოებიდან საზამთროზე არავითარი საშუალება არ იყო მათი სამუშაოს მოცილებისა და გამგეობა მოკლებულია საშუალებას გამოცხადებულ დროზე ადრე მოიწვევს კრება.

**საზ. „ბირლიკი“—ს გამგეობა.**

**ს ა ა ქ ც ი ო ნ ე რ ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს**

## „ზაკუტილსირიოს“

**გამგეობა ამით აცხადებს, რომ ა. წ. 25 სექტემბერს, დღის 12 საათზე დანიშნულია**

## წერილობითი საჯარო ვაჭრობა

**ცხვრის ნაწლავების (ნედლი დამარილებულის)**

400.000 მორგვის წელიწადში, ვოველ თვიურად პარტიობით 25—35 ათასი ცალის მოსაწოდებლად.

ჩაბარება ფრანკო—ბაქო და ტფილისი.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღან მონაწილეობა ვაჭრობაში, არა უგვიანეს 25 სექტემბრის დღის 12 საათისა უნდა გამოგზავნონ წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტებში „ზაკუტილსირიოს“ სააქციონერო საზოგადოების გამგეობის სახელზე ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. 5 შემდეგი ზედწარწერით: „ცხვრის ნაწლავების 400,000 მორგის მისაწოდებლად დანიშნულ საჯარო ვაჭრობისათვის“. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს:

1. ქვითარი ხაზინაში მისაწოდებელ ნაწლავების ღირებულების 5 პროც. გირაოს შეტანის შესახებ; გირაო უძრავი ქონების სახით არ მიიღება.

2. ხელწერილი იმის შესახებ, რომ მიწოდების დამტკიცების და მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეტანილი გირაო რჩება სააქციონერო საზოგადოების სალაროში.

3. პირობების მოწონება საჯარო ვაჭრობაში მონაწილისა.

იმ პირის გირაო, რომლის წინადადება მიღებული იქნება, რჩება დეპოზიტში და ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს მას დაემატება მთელი მისაწოდებელ ნაწლავების ღირებულების 10 პროც.

განცხადების შემომტანს უნდა ჰქონდეს გადახდილი დაწესებული საღერბო გადასახადი.

ფასები უნდა იქნას აღნიშნული ჩერვონეცებში.

**დაწვრილებითი ცნობების მიღება** შეიძლება ყოველდღე დღის 2 საათამდე, ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქ. № 5. ბაქოში—სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ამიერ-კავკასიის განყოფილებაში, ბარიატინის ქუჩაზე.

ს. მ. უ. ს.

## სათბობი

## განყოფილება

**პუშკინის ქ. № 3.**

პუშკინის ქ. № 3.
ამით აუწყებს ქალაქ ტფილისის მოქალაქეთ, რომ სათბობის განყოფილების მიერ გახსნილია ორი დუქანი ნავთის გასაყიდათ.

**დუქანი № 11—ნიკოლოზის ქ. სახლი № 1.**
**დუქანი № 12—ლაზარევის ქ. სახლი № 21.**

უახლოესს დროში სათბობი განყოფილება მოაწყობს ნავთის სახლში დატარებას.

## თანახმად საქართველოს დამფუძნებლთა სასარგებლოდ დიდ ლატარიის მომწყობ კომისიის დადგენილებისა

და სახელმწიფო ორგანოს დასტურისა, ლატარიის მოგებათა ჯამს მოემატა ერთი მილიარდი მანეთი, ხოლო მოგებათა რაოდენობა შემცირდა 100-მდე. მოგებები განაწილებულია ამ გვარად:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | მოგება | 1,000,000,000 | მან. — | 1,000,000,000— |
| 1 | „ | 500,000,000 | „ — | 500,000,000— |
| 1 | „ | 100,000,000 | „ — | 100,000,000— |
| 2 | „ | 50,000,000 | „ — | 100,000,000— |
| 5 | „ | 25,000,000 | „ — | 125,000,000— |
| 15 | „ | 10,000,000 | „ — | 150,000,000— |
| 25 | „ | 5,000,000 | „ — | 125,000,000— |
| 50 | „ | 2,000,000 | „ — | 100,000,000— |
| სულ 100 | მოგება | | | 2,200,000,000— |

ლატარიის გათამაშება მოხდება, როგორც იყო გამოცხადებული ამა სექტემბრის 30-ს დღის 12 საათზე სახელმწიფო პატარა თეატრის შენობაში (რუსთაველის თეატრის პირდაპირ).

კომისია.

## თამბაქოს ტრესტის

## პრეისკურანტი

### № 21.

**1923 წ. სექტემბრიდან ჩერვონცებში,**

**პაპიროსები კოლოფებში**

| | |
|---|---|
| ინგლისური 3-ე ფაბრიკის | 10 |
| ინგლისური № 2—3-ე ფაბრიკის | |
| „სოვეტსკიე“ № 27 1-ელ ფაბრიკის | 9 |
| „სოლიდნიე“ № 34 1-ელ ფაბრიკის | |
| „სოვეტ.“ პროლეტარი 1-ელ ფაბრიკის | |
| „ხან-კეფი“ № 3 5-ე ფაბრიკის | |
| „ეგიპეტსკიე“ 2 ფაბრიკის | |
| „ოელიკატესი“ 3-ე ფაბრიკის | 7 |
| „სოვეტსკიე“ 3-ე და 4-ე ფაბრიკის | |
| „პრიმა“ 2-ე ფაბრიკის | |
| № 105 4-ე ფაბრიკის | |

**პაპიროსები ქაღალდის შესახვევში:**

| | |
|---|---|
| „ეგიპეტსკიე“ 2-ე ფაბრიკის | 6 მ. 60 კ. |
| „დელიკატესი“ 3-ე ფაბრიკის | |
| „ბუკეტი“ № 44 1-ელ ფაბრიკის | |
| „ექსტრა“ № 59 1-ელ ფაბრიკის | |
| „დარიალი“ № 5 4-ე ფაბრიკის | 4 მ. 70 კ. |
| „როსკოში“ № 12 5-ე ფაბრიკის | |
| „მარსი“ 2-ე ფაბრიკის | |
| „ზვეზდა“ 2 ე ფაბრიკის | |
| „ზარია“ № 22 5-ე ფაბრიკის | 4 მ. |
| № 105 3 ხარისხ. 3-ე ფაბრიკი | |
| „ზაკავკასკაია ფედერაცია“ | 4 მ. 60 კ. |

**თ ა მ ბ ა ქ ო**

| | |
|---|---|
| ხან კეფი № 20 3-ე ფაბრიკის | |
| № 52 საფაროვის 2-ე ფაბრიკის | 3 მ. |
| ყირიმის № 16 3-ე ფაბრიკის | |
| „სლონი“ (საშუალოზე მაღ.) 4-ე ფაბრიკის | 3 მ. 40 კ. |
| „ოტბორნი“ 6-ე ფაბრიკის | |
| „სამსონი“ მაგარი 3-ე ფაბრიკის | 2 მ. 40 კ. |
| № 120 2-ე ხარისხ. 4-ე ფაბრიკის | |
| № 108 4-ე ფაბრიკის | |
| „შირაქი“ № 10 5-ე ფაბრიკის | 2 მ. 20 კ. |
| „ნაროდნი“ № 110 2-ე ფაბრიკის | |
| „საგანგებო“ 6-ე ფაბრიკის | |
| „საგანგებო“ 3 ხარისხ. 1-ელ ფაბრიკის | |
| „საყირო“ 3-ე ფაბრიკის | 2 მ. 30 კ. |
| „ნაროდნი“ 4-ე ფაბრიკის | |
| ნაროდნი № 7 5-ე ფაბრიკის | 2 მ. |
| სასუნი 6-ე ფაბრიკის | |
| შირაქი 3 ხარისხ. 1-ელ ფაბრიკის | |
| „25 ოქტომბერი“ წუმწუმა 1,000 კოლოფი | 16 მ. 70 კ. |

**პირველ სააქციონერო ტრანსპორტის საზოგადოების „ტრანსპორტი“—ს**

## ტფილისის კონტორა

ამით აცხადებს, რომ 30 სექტემბერს დღის 12 საათზე დანიშნული

## წერილობით შეჯიბრება.

სხვა და სხვა ტვირთთა ავტო და გუჟო გადაზიდვისა ქალ. ტფილისისა და შარა გზებზე ამ შეჯიბრების დღიდან ერთი წლის ვადით. ვისაც სურს შეჯიბრებაში მიიღოს მონაწილეობა მან უნდა განაცხადოს არა უგვიანესს 26 ამა სექ. 12 საათზე წერილობითი განცხადებით დახურულ პაკეტში „ტრანსპორტის“ საზ. სახელზე. სასახლის ქ. № 6. კონვერტს უნდა ჰქონდეს წარწერა: **გადაზიდვის შეს ხებ საჯარო ვაჭრობისთვის.**

განცხადებასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი:

1) ქვითარი რ. ს. ფ. ს. რ. სახელმ. ბანკისა, რომ იქ „ტრანსპორტის“ სახელზე № 267 შეტანილია 5 პროც. იმ თანხისა, რომელსაც გულისხმობს ხელშეკრულების ჯამი და თუ თანხა არ არის გამორკვეული მაშინ 10 ჩერვონეცი.

2) ხელის მოწერა იმის შესახებ, რომ თუ პირობები იქნა მიღებული და მაინც მოიჯარადრემ უარი განაცხადა ხელშეკრულობაზე ხელის მოწერაზე დამტკიცების დღიდან ერთი კვირის ვადის შემდეგ შემოტანილი ფული რჩება „ტრანსპორტის“ სასარგებლოდ და პირობა იქნება გაუქმებული.

3) დოკუმენტები, რომელნიც ამოწმებდენ პიროვნებას და რწმუნებულების ვაჭრობაში მონაწილეთა. ან თუ პირობა იქნა მიღებული. სამძევლო ფული მაინც რჩება სამძევლოთ და ხელშეკრულობის დადების შემდეგ ამის გარდა უნდა იქნეს შესრულებული 10 პროც. მთელი ხელშეკრულებაში მოხსენებულ თანხის მიხედვით.

**ფასები უნდა იქნენ ჩერვონცებით ნაანგარიშები.**

განცხადებებს უნდა ეკრან საჭირო საგერბო გადასახადის მარკები.

განცხადებები შეიძლება როგორც ერთად ისე ცალ-ცალკე, როგორც **ავტო** ისე **გუჟო** გადაზიდვისთვის.

დაწვრილებით ცნობების მიღება და ხელშეკრულების პროექტის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე „ტრანსპორტის“ კანტორაში, სასახლის ქ. № 6.

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქ. № 4. ნება დართულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართვ. მიერ № 679